

შპს ნექსია თიეი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები, და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივები	15
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
9. საგადასახადო ვალდებულებები	16
10. ამონაგები	16
11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	17
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
13. კურსთა შორის სხვაობით მიღებული (ზარალი)/მოგება	17
14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	202,115	56,905
არამატერიალური აქტივები	5	6,824	7,856
სულ გრძელვადიანი აქტივები		208,939	64,761
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		2,338	369
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	750,119	391,816
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	390,217	96,601
სულ მიმდინარე აქტივები		1,142,674	488,787
სულ აქტივები		1,351,613	553,547
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		49	49
გაუნაწილებელი მოგება		964,226	(105,379)
სულ კაპიტალი		964,275	(105,330)
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	340,251	545,189
საგადასახადო ვალდებულებები	9	47,087	113,689
სულ მიმდინარე ვალდებულებები		387,338	658,878
სულ ვალდებულებები		387,338	658,878
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,351,613	553,547

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს

სალომე კვინჩია

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნეჟსია თიეი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	202,115	56,905	34,565
არამატერიალური აქტივები	5	6,824	7,856	8,677
სულ გრძელვადიანი აქტივები		208,939	64,761	43,242
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		2,338	369	389
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	750,119	391,816	79,113
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	390,217	96,601	96,770
სულ მიმდინარე აქტივები		1,142,674	488,787	176,272
სულ აქტივები		1,351,613	553,547	219,514
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		49	49	49
გაუნაწილებელი მოგება		964,226	(105,379)	(107,335)
სულ კაპიტალი		964,275	(105,330)	(107,286)
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	340,251	545,189	288,198
საგადასახადო ვალდებულებები	9	47,087	113,689	38,602
სულ მიმდინარე ვალდებულებები		387,338	658,878	326,800
სულ ვალდებულებები		387,338	658,878	326,800
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,351,613	553,547	219,514

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს


სალომე კვინჯია

მთავარი ბუღალტერი


გელა მღებრიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების
განუყოფელ ნაწილს

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
ამონაგები	10	4,407,769	2,297,417
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(2,087,458)	(1,247,260)
საერთო მოგება		2,320,311	1,050,157
საოპერაციო ხარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,246,711)	(1,063,170)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)		1,073,599	(13,013)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /(ზარალი)	13	(5,177)	12,713
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		308	4,361
საპროცენტო შემოსავალი		1,556	1,098
საპროცენტო ხარჯი		(46)	(1,792)
მოგება დაბეგვრამდე		1,070,239	3,367
მოგების გადასახადის ხარჯი		(634)	(1,411)
წლის მოგება		1,069,605	1,956
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,069,605	1,956

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს

სალომე კვინჩია

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი


შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს


შპს „ნეჟსია თიეი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
ამონაგები	10	4,407,769	2,297,417
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(2,087,458)	(1,247,260)
საერთო მოგება		2,320,311	1,050,157
საოპერაციო ხარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,246,711)	(1,063,170)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)		1,073,599	(13,013)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /(ზარალი)	13	(5,177)	12,713
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		308	4,361
საპროცენტო შემოსავალი		1,556	1,098
საპროცენტო ხარჯი		(46)	(1,792)
მოგება დაბეგვრამდე		1,070,239	3,367
მოგების გადასახადის ხარჯი		(634)	(1,411)
წლის მოგება		1,069,605	1,956
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,069,605	1,956

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს


სალომე კვინჩია
მთავარი ბუღალტერი


გელა მღებრიშვილი
დირექტორი

შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	49	(107,335)	(107,286)
სხვა სრული შემოსავალი		1,956	1,956
2017 წლის 31 დეკემბერი	49	(105,379)	(105,330)
სხვა სრული შემოსავალი		1,069,605	1,069,605
2018 წლის 31 დეკემბერი	49	964,226	964,275

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს

სალომე კვინჩია -

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ნეესია თიეი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	49	(107,335)	(107,286)
სხვა სრული შემოსავალი		1,956	1,956
2017 წლის 31 დეკემბერი	49	(105,379)	(105,330)
სხვა სრული შემოსავალი		1,069,605	1,069,605
2018 წლის 31 დეკემბერი	49	964,226	964,275

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს



სალომე კვინჯია -

მთავარი ბუღალტერი



გელაშვილი

დირექტორი

შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლისგან	4,792,202	2,114,856
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(945,885)	(377,191)
დასაქმებულებზე გადახდილი თანხები	(2,184,177)	(1,043,286)
გადახდილი პროცენტები	-	(2,092)
გადახდილი გადასახადები	(1,198,832)	(660,925)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	463,308	31,363
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(172,788)	(25,028)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	1,890	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	-
მიღებული პროცენტი	1,556	1,098
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(169,343)	(23,930)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა სასესხო ვალდებულების შემცირება	-	(8,132)
კაპიტალის ზრდა	-	(8,132)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	-	(8,132)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	293,966	(699)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(350)	530
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	96,601	96,770
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	390,217	96,601

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს

სალომე კვინჩია

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი


შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ნეესია თიფი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლისგან	4,792,202	2,114,856
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(945,885)	(377,191)
დასაქმებულებზე გადახდილი თანხები	(2,184,177)	(1,043,286)
გადახდილი პროცენტები	-	(2,092)
გადახდილი გადასახადები	(1,198,832)	(660,925)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	463,308	31,363
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(172,788)	(25,028)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	1,890	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		
მიღებული პროცენტი	1,556	1,098
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(169,343)	(23,930)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა სასესხო ვალდებულების შემცირება	-	(8,132)
კაპიტალის ზრდა		
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	-	(8,132)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	293,966	(699)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(350)	530
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	96,601	96,770
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	390,217	96,601

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს


სალომე კვინჯია
მთავარი ბუღალტერი


გელა მდივანიშვილი
დირექტორი

შენიშვნები 7-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

„ნექსია თიეი“ („კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2014 წლის 25 აპრილს, რეგისტრირებულია მისამართზე ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდ., IV მ/რ, კორ. 30, ბ. 19 და მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში.

კომპანიის პარტნიორები არიან: ბორისი მეგრელიშვილი, (54001013510) - 14.3%, დავითი ლომიძე, (35001039794) - 42.85%, გელა მღებრიშვილი, (35001037808) - 42.85%,

კომპანია ფლობს ორ შვილობილ კომპანიას: შპს „ნექსია თიეი აკადემია“ (ს.კ. 405175803) – 100% და შპს „ნექსია სოლუმენს“ (ს.კ. 405308661) – 51%

შპს „ნექსია თიეი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, ბუღალტრული, საგადასახადო, ბიზნეს-საკონსულტაციო, სატრანსფერო ფასწარმოქმნისა და იურიდიული მომსახურება. შპს „ნექსია თიეი აკადემია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრენინგების ჩატარება საგადასახადო, ბუღალტრულ და ფინანსურ სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე. შპს „ნექსია სოლუმენს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუღალტრული პროგრამის რეალიზაცია და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს ჯგუფის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2018, 2017 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

შემოსავლის აღიარება

საწარმო აღიარებს ამონაგებს, როდესაც (ან როგორც კი) შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების გადასახადის დარიცხვა/(საკრედიტო ბრუნვა) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებოდა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან იგი დაკავშირებულია ისეთ ოპერაციებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდში, ასევე აღიარდება კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავლებში.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება ან დაბრუნების უფლებაც ჰქონდა კომპანიას საგადასახადო ორგანოების მიმართ მიმდინარე და წინა პერიოდებში დასაბეგრი მოგების ან ზარალის მიხედვით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული იქნებოდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენამდე.

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც კომპანია (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვეო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგების გადასახადს 2017 წლის 1 იანვრიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგების განაწილება ხდება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადის

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის თანხით (რომელიც არის, ბანკისათვის გადასახდელი ვალდებულების მიმდინარე ღირებულება, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით). სესხების შემდგომი აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზირებული ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი შესაბამის პერიოდზე ისე, რომ მიღწეული იქნას დანახარჯის მუდმივი პერიოდული განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ექსპლოატაციის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდში, თუ შესაბამისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც კომპანიას აქვს უპირობო უფლება გადაავადოს ვალდებულება ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. სხვა დანარჩენი ხარჯები აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია განსაზღვრავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3-5 წელი

ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა გასვლისას მიღებულ თანხებსა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებად ან ზარალად, როგორც „სხვა შემოსავალი“ ან „სხვა ხარჯი“.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად. ლიზინგის ვადა არის არა-გაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებით დაქირავებული აქვს აქტივი ნებისმიერი სამომავლო პირობებით, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს აქვს არჩევანი, განაგრძოს აქტივის ქირავნობა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც ლიზინგის დაწყებისას გონივრულად დაკონკრეტებულია, რომ ლიზინგის მიმღები გამოიყენებს ამ არჩევანს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხები მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე განიხილება ყველა დებიტორული მუხლის მიმართ რომლის შეფასებაც არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, დისკონტირებულს საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახლოსაა რეალურთან. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს გირაოს ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფას, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაანგარიშებისას. ამრიგად, კომპანია არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ, აღიარებს გაუფასურების ზარალის ანარიცხს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა

წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეს აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება როდესაც იგი დაიფარება ან უქმდება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების ზრდით და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები მომსახურების გაწევისას აღიარდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად.

ხარჯები აღიარდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე, თუ მისგან აღარ არის მოსალოდნელი მომავალი შემოსავლის მიღება, ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან სცდება შემოსავლის აღიარების კრიტერიუმს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება შეწონილი საშუალოს მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და მუშა მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდი ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდირების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოს:

შპს „ნექსია თიეი აკადემია“ – 100%

შპს „ნექსია სოლუმენს“ - 51%

3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები, და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა მენეჯმენტის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. მენეჯმენტი ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია ჯგუფის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის მენეჯმენტისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. მენეჯმენტის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაბამისი და მოსალოდნელია, რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				-
1 იანვარი 2017	31,316	9,921	318	41,555
შემოსვლა	30,282	4,194		34,476
გასვლა	1,174			1,174
31 დეკემბერი 2017	60,424	14,116	318	74,858
შემოსვლა	56,187	127,509		183,696
გასვლა	2,131	15,602		17,733
31 დეკემბერი 2018	114,481	126,023	318	240,821
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2017	5,292	1,687	11	6,990
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	8,766	2,281	64	11,110
გაყიდული ქონების ცვეთა	148			148
31 დეკემბერი 2017	13,910	3,968	74	17,952
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	17,096	9,643	64	26,802
გაყიდული ქონების ცვეთა	1,169	4,879		6,048
31 დეკემბერი 2018	29,837	8,731	138	38,706
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2017	26,024	8,234	307	34,565
31 დეკემბერი 2017	46,514	10,148	244	56,905
31 დეკემბერი 2018	84,644	117,292	180	202,115

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	
01 იანვარი 2017	11,039
შემოსვლა	956
გასვლა	-
31 დეკემბერი 2017	11,994
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2018	11,994
დაგროვილი ამორტიზაცია	
1 იანვარი 2017	2,361
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	1,777
31 დეკემბერი 2017	4,139
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	1,032
31 დეკემბერი 2018	5,170
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2017	8,677
31 დეკემბერი 2017	7,856
31 დეკემბერი 2018	6,824

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები	676,861	358,684	68,767
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(11,068)	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები	665,793	358,684	68,767
არაფინანსური მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები	65,149	30,102	10,346
სხვა მოთხოვნები	19,177	3,030	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	750,119	391,816	79,113

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული	31,633	71,292	3,473
ფული ბანკში	358,584	25,309	93,297
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	390,217	96,601	96,770

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
არაფინანსური ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან	95,937	44,006	16,458
წარმოქმნილი ვალდებულებები			
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	211,360	171,199	125,720
გადასახდელი ხელფასები	32,954	329,984	136,634
მოკლევადიანი სესხები	-	-	9,386
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	340,251	545,189	288,198

9. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საშემოსავლო გადასახადი	3,634	84,099	31,322
დღგ, მიღებულ ავანსებზე	(30,560)	(26,962)	-
სხვა საგადასახადო ვალდებულება, ნეტო	74,013	56,552	7,280
სულ საგადასახადო ვალდებულებები	47,087	113,689	38,602

10. ამონაგები

	2018	2017
შემოსავალი ბუღალტრული მომსახურებიდან	1,607,169	1,002,926
შემოსავალი საგადასახადო საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებიდან	1,413,035	832,399
შემოსავალი ფინანსური საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებიდან	1,209,749	408,978
შემოსავალი ტრენინგებიდან	48,915	5,875
სხვა	129,324	47,240
სულ ამონაგები	4,407,769	2,297,417

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	1,798,420	1,049,518
სხვა	289,038	197,742
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	2,087,458	1,247,260

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	549,731	610,912
მივლინების ხარჯი	144,452	96,417
საიჯარო ქირა	135,235	92,872
მარკეტინგის ხარჯი	98,552	55,842
საოფისე ხარჯი	98,129	46,102
სხვა ხარჯი	68,864	52,222
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	37,938	
საწვავის ხარჯი	33,444	24,672
ცვეთა და ამორტიზაცია	27,834	12,887
წარმომადგენლობითი ხარჯი	19,620	20,071
დაზღვევის ხარჯი	17,192	35,008
საკონსულტაციო ხარჯი	15,720	16,165
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,246,711	1,063,170

13. კურსთა შორის სხვაობით მიღებული (ზარალი)/მოგება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დადებითი საკურსო სხვაობა	7,425	18,117
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(12,602)	(5,404)
სულ კურსთა შორის სხვაობით მიღებული (ზარალი)/მოგება	(5,177)	12,713

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 33-ე განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის ანაზღაურება - ხელფასი და სხვა მოკლევადიან სარგებლები საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	2018	2017
ხელფასი და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	373,528	391,156

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს.